ახალი უმაღლესი სასწავლებელი
ნიუუნი

NEW HIGHER EDUCATION INSTITUTE
NEWUNI

სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრის დებულება

ახალი უმაღლესი სასწავლებელი – „ნიუუნი“

შინაარსი:

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი **2**

მუხლი 2. სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის მიზნები და ამოცანები **2**

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა **3**

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები **3**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის (შემდგომში - სასწავლებელი) სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) არის სასწავლებლის სტრუქტურული ერთეული;
2. ცენტრი ფუნქციონირებს სასწავლებლის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კავშირში და თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობის, სასწავლებლის დებულებით და წინამდებარე დებულებით;
3. ცენტრი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ანგარიშვალდებულია სასწავლებლის რექტორის მოადგილის წინაშე, ასრულებს კანონის საფუძველზე მის მიერ დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 2. სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის მიზნები და ამოცანები

1. ცენტრის მიზანია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა, საზოგადოებისათვის სასწავლებლის რესურსებისა და გამოცდილების გამოყენების საშუალების მიცემა პროფესიული თუ პირადი განვითარების მიზნით, კვალიფიკასიის ასამაღლებლად, ახალი პროფესიული უნარების შეძენისათვის, აკადემიური განათლების მისაღებად საფუძვლის მომზადება და შექმნა. შესაბამისად, მისი ამოცანებია:

ა) სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის სამუშაო ადგილების მოძიება და, პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით, მათი მაქსიმალური დასაქმება;

ბ)მჭიდრო ურთიერთობის დამყარება ახალ უმაღლეს სასწავლებელსა და საქართველოში მოქმედ სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციებთან;

გ) სტაჟირებებისა და პრაქტიკების ორგანიზება საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ;

დ) პროფესიული განვითარების ხელშეწყობა სხვადასხვა სემინარებისა და ტრენინგების ორგანიზებით;

ე) პროფესიული ექსკურსიების მოწყობა;

ვ) დასაქმების ფორუმის პერიოდულად ორგანიზება;

ზ) დამქირავებლთან შეხვედრების ორგანიზება სასწავლებელში;

თ) დამსაქმებლებთან თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება, რომელიც გაითვალისწინებს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმებას, სტაჟირებებისა და პრაქტიკების შესაძლებლობას, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს მათ კარიერულ განვითარებას;

ი) დამსაქმებლის მიერ არჩეული კადრების მიზნობრივი მომზადება შესაბამისი სასწავლო კურსებით;

კ) სასწავლებლის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული და აკადემიური განვითარების მიზნით შესაბამისი კვალიფიკაციის ასამაღლებელი უწყვეტი განათლების პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

ლ) სტუდენტებისათვის სხვადასხვა სახის ღონისძიებებისა და კურსების დაგეგმვა უწყვეტი განათლების კუთხით;

მ) აბიტურიენტისათვის საბაკალავრო პროგრამებში სრულფასოვნად ჩართვისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების შესაძენად შესაბამისი მოსამზადებელი პროგრამებისა თუ კურსების შემუშავება და განხორციელება;

ნ) უწყვეტი განათლების შესახებ სასწავლებელში საინფორმაციო კამპანიის წარმოება;

ო) სასწავლებლის ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული საჭიროებების შესახებ გამოკითხვის წარმოება და შესაბამისი ტრენინგებისა თუ კურსების ორგანიზება;

პ) სასწავლებლის სტუდენტების საჭიროებების კვლევას და მათთვის შესაბამისი უწყვეტი განათლების პროგრამების შეთავაზება.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა

3.1 ცენტრი წარმოადგენს სასწავლებლის ადმინისტრაციული ერთეულს, რომლის სტრუქტურაში შედიან: ცენტრის უფროსი, სპეციალისტი.

3.2 ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სასწავლებლის რექტორი აკადემიურ საბჭოსთან და რექტორის მოადგილესთან შეთანხმებით.

3.3 სპეციალისტს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სასწავლებლის რექტორი, ცენტრის უფროსის წარდგინებით.

3.4 ცენტრის უფროსი უზრუნველყოფს:

ა) ცენტრის წლიური სამუშაო გეგმის შედგენას; წლის მანძილზე ჩასატარებელი ღონისძიებების კალენდრის შედგენას და ცენტრის მუშაობის კოორდინირებას.

ბ) რეგულარული ტრენინგების/კურსების მოდულების შედგენას, რომლებიც ცენტრმა წლის მანძილზე უნდა შესთავაზოს სტუდენტებს. საჭიროების მიხედვით პერიოდულ განახლებას და ახალი კურსების შედგენას;

გ) კონსულტაციების გაწევას სტუდენტებისთვის პროფესიული ორიენტაციისა და დასაქმების საკითხებზე.

დ) დამსაქმებელთა ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნას, ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და ადამიანური რესურსების მენეჯერების დეტალური საკონტაქტო ინფორმაციით;

ე) დამსაქმებლებთან ურთიერთობის კოორდინირებას; რეგულარული კონტაქტების დამყარებას დამსაქმებლებთან ინფორმაციის გაცვლის მიზნით.

ვ) სტუდენტების მონაცემთა გადაგზავნას კონკრეტულ ვაკანსიებზე, ასევე მათთვის სტაჟირებისა თუ დასაქმებისსხვა შესაძლებლობების მოძიებას;

ზ) შრომის ბაზრის დინამიკის რეგულარულ ანალიზს, არსებული ვაკასიების მონიტორინგს.

თ) დამსაქმებლებთან ურთიერთობაში სტუდენტების დახმარებასა და ხელშეწყობას.

ი) დამსაქმებლებთან მიზნობრივი შეხვედრების მოწყობას. დასაქმების ფორუმების ორგანიზებსა და ამ ღონისძიებასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინირებას, როგორც შინაარსობრივი, ასევე ორგანიზაციული თვალსაზრისით;

კ) ცენტრის მუშაობის პერიოდული მონიტორინგს;

ლ) ურთიერთობის კოორდინირებას ქართველ და უცხოელ პარტნიორებთან, დონორებთან, ქართულ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ყველა სხვა დაინტერესებულ მხარესთან;

მ) ფაკულტეტის პერსონალისთვის ინფორმაციის გაზიარებას და მათთან თანამშრომლობას მოსაზრებების, რეკომენდაციების გაზიარების, გათვალისწინებისა და, შესაბამისად, ცენტრის უფრო ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით.

ნ) ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად ანგარიშის წარდგენას, აგრეთვე ნებისმიერ დროს სასწავლებლის რექტორისა და აკადემიური საბჭოს დავალებით.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

4.1 ცენტრის დებულების გაუქმება, მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება სასწავლებლის წესდებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.2 ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.